MES 5 22 0000886004

09/08/2022

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2022 წლის 27 ივლისს 14:00 საათზე**.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **კახა შენგელია** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პრეზიდენტი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **დავით ბოსტოღანაშვილი** - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
4. **გაგა გვენეტაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
5. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის მენეჯერი, პროფესორი;
6. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
7. **გია ლობჟანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, ზოგადი ქირურგიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი;
8. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

9. **ლელა სალაყაია** - ა(ა)იპ - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის სენატის წევრი, შპს „ვიონი საქართველოს“ პერსონალთა მუშაობისა და ადმინისტრაციულ საქმეთა დირექტორი, დამსაქმებელი;
10. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
11. **კონსტანტინე სირბილაძე** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
12. **ანა ფირცხალაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს“ სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი)წარმომადგენლები:

- ლაშა მარგიშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
- ნიკოლოზ ფარჯანაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
- ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
- თორნიკე ბაქაქური - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
- ლაშა მაჭარაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
- დავით ბურჯანაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
- ანა ქოიავა - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
- ნინო გულიაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერისტეტი:

1. გიორგი სოსიაშვილი - რექტორი
2. გიორგი ხორბალაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
3. ალექსანდრე მღებრიშვილი - რექტორის მოადგილე
4. ლევან მიდოდაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
5. ციური დურული - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი
6. დავით კვერნაძე, იურიდიული სამსახურის უფროსი
7. მარიკა შერაზადიშვილი - ფაკულტეტის დეკანი
8. ლელა ალექსიძე -ფაკულტეტის დეკანი

9. ქეთევან ბარბაქაძე - ფაკულტეტის დეკანი

შპს ალტე უნივერსიტეტი:

1. რამაზ კუკულაძე
2. ბუბა ჩაჩხიანი
3. ქეთევან ჩახნაშვილი
4. ირმა ნოზაძე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერისტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველი სახელმწიფო უნივერსიტეტზე წარმოდგენილ განაცხადზე არაგეგმიური მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტზე წარმოდგენილ განაცხადზე არაგეგმიური მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ;
4. შპს ალტე უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერისტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველი სახელმწიფო უნივერსიტეტზე წარმოდგენილ განაცხადზე არაგეგმიური მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ;

3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტზე წარმოდგენილ განაცხადზე არაგეგმიური მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ;
4. შპს ალტე უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

1. **სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერისტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა - დავით ბოსტოღანაშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მილან პოლმა აღნიშნა, რომ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერისტეტი არის მყარად დაფუძნებული ინსტიტუცია, რომელიც ემსახურება რეგიონსა და რეგიონის საჭიროებებს. დაწესებულებაში ვიზიტი ჩატარდა 2022 წლის 29-31 მაისს. ვიზიტი

ორგანიზებული იყო ადგილზე (ოფლაინ) და ამ გზით, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შანსი ვიზიტის დღეებში შეხვედროდა არა მხოლოდ დაწესებულების ფუნქციონირებაში ჩართული ყველა დაინტერესებული ჯგუფის წარმომადგენლებს, არამედ ასევე ენახათ დაწესებულების ობიექტები. ამჟამად, უნივერსიტეტში არის სამი ფაკულტეტი (სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის და სამართალმცოდენობის; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა; განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა). დაწესებულება ახორციელებს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს, ასევე ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების კომპონენტების განვითარებას. ჩვენი შტაბეჭდილებით, ეს პროგრამები არის ძალიან ადეკვატურად შემუშავებული და ემსახურება რეგიონსა და არა მხოლოდ რეგიონის საჭიროებებს. დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი კვლევით მიმართულება, განსაკუთრებით ისტორიის მიმართულება, რომელსაც ამ მხრივ წინ სვლის შესაძლებლობა აქვს. ჩვენ ასევე გადავამოწმეთ, გარემოსთან ბმაში რა ფუნქციებს ასრულებდა დაწესებულება და ნამდვილად დასტურდება, დაწესებულებას აქვს კარგი ურთიერთობა გარე დაინტერესებულება, რაც გულისხმობს, რომ დაწესებულება ასრულებს თავის მესამე მისიას. რაც შეეხება უნივერსიტეტის მისიას, აღნიშნული პოზიტიურ ცვლილებებზე იყო ორიენტირებული და პასუხობდა საქართველოს და ევროპის უმაღლესი განათლების მიზნებს. მისიის განაცხადი უკავშირდება ადგილობრივ და საერთაშორისო მიზნებს, თუმცა უფრო კონკრეტულად უნდა განისაზღვროს დაწესებულების როლი და ადგილი უმაღლესი განათლების სფეროში და საზოგადოებაში, ასევე დაწესებულების ინდივიდუალური მახასიათებლები არ არის ასახული მისიის განაცხადში, ისინი უფრო ზოგადადაა ფორმულირებულია.
ექსპერტმა ასევე ისაუბრა პროგრამი სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და აღნიშნა, რომ პირველი და მე-6 სტანადრტი მეტწილად იყო შესაბამისი ავტორიზაციის სტანდარტებთან, ხოლო ყველა დანარჩენი სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ რეკომენდაციები ძირითადად ეხებოდა პირველ და მე-6 სტანდარტს, კერძოდ:

1. დაწესებულებამ განიხილოს მისიის განაცხადში კვლევისა და დაწესებულების "მესამე მისიის" აქტივობების უფრო ნათლად წარმოდგენის შესაძლებლობა.
2. დაწესებულებამ განიხილოს მისიის განაცხადში დაწესებულების განსხვავებული მახასიათებლების უფრო კონკრეტულად განსაზღვრის შესაძლებლობა.
3. დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ სამოქმედო გეგმაში ნათლად იყოს განსაზღვრული ამოცანები და აქტივობები და აგრეთვე, ნათლად იყოს ფინანსური რესურსებიც წარმოდგენილი თითოეულ ამოცანასთან/აქტივობასთან მიმართებით.
4. დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ მენეჯმენტი/ლიდერობა და მმართველობა ნათლად იყოს წარმოდგენილი დაწესებულების სტრუქტურაში.
5. დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა ნათლად აჩვენებდეს ურთიერთდამოკიდებულებას ინსტიტუციის სხვადასხვა სტრუქტურულ ნაწილს შორის. მაგალითად, უნივერსიტეტი და ფაკულტეტები, აკადემიური სტრუქტურები საუნივერსიტეტო და ფაკულტეტის დონეებზე, დამხმარე სტრუქტურული ერთეულები და მათი კავშირი ფაკულტეტებთან, ასევე საუნივერსიტეტო დონის სტრუქტურულ ერთეულებთან და ა.შ.
6. დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ დაინტერესებული მხარეები პირდაპირ იყვნენ ჩართულნი პროგრამის განვითარების პროცესში.
7. დაწესებულებამ განიხილოს და ნათლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელისა და სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე კანცელარიის მთავარი სპეციალისტისა და ადამიანური რესურსების სამსახურის მთავარი სპეციალისტის პოზიციებისთვის არსებული პასუხისმგებლობები დოკუმეტში "სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნა".
8. დაწესებულებამ უზრუნველყოს საკმარისი ფინანსური რესურსების არსებობა შიდა სამეცნიერო პროექტებისთვის ეფექტური სამეცნიერო კვლევის წახალისების მიზნით.

9. დაწესებულებამ გააუმჯობესოს აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენცია მათი კვლევითი უნარების გაძლიერებისა და საერთაშორისო კვლევით გარემოში მათი ინტეგრირების მიზნით.
10. უფასო ინტერნეტი კავშირი უმჯობესია იყოს ხელმისაწვდომი და კარგი ხარისხის.
11. სწავლის ელექტრონული პლატფორმა უნდა იძლეოდეს სასწავლი მასალების ატვირთვის შესაძლებლობას.

საუკეთესო პრაქტიკის სახით ექპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ახორციელებდა კვლევებს, განმავითარებელ და შემოქმედებით საქმიანობას ძირითადად შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიების შესწავლისა და არქეოლოგიური გათხრების სამეცნიერო კვლევებზე და პროექტებზე ორიენტირებით.
ექსპერტმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს კვლევითი ნაწილის შეფასება იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი. დაწესებულებას აღნიშნული ნაბიჯი გადადგმული ჰქონდა საკმაოდ გააზრებულად, ვინაიდან ერთი წლის წინ მათ გაიარეს ავტორიზაცია თუმცა არ გაუკეთებიათ განაცხადი სადოქტორო პროგრამის განხორციელებაზე . ამ კუთხით დაწესებულებას ბევრი ნაბიჯი ჰქონდა გადადგმული, თუმცა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რომ დაწესებულება აწარმოებდა ქვეყნისთვის პრიორიტეტულ და მნიშვნელოვან კვლევებს. 2015 წლიდან გსსუ-მ ჩაატარა და მონაწილეობა მიიღო 15-ზე მეტ სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროექტში, მათ შორის, რუსთაველის სამეცნიერო გრანტი აქვს მოგებული, ასევე, კვლევებში მონაწილეობას იღებს 6 უცხოელი პროფესორი. კვლევები ჩართულნი არიან სტუდენტები და დაახლოებით 46 სტუდენტური პროექტი დაფინანსდა დაწესებულების მიერ.
რაც შეეხება ბიუჯეტს, თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება სხვადასხვა წყაროდან - ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, გსსუ-ს ბიუჯეტიდან, სხვადასხვა სამეცნიერო ფონდებიდან საგრანტო პროექტებისთვის გამოყოფილი თანხებიდან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ფონდებიდან. აღნიშნულია, რომ კვლევით-სამეცნიერო საქმიანობისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი შეადგენს 305000 ლარს, რაც მთლიანი ბიუჯეტის 6%- იყო თუმცა გასაუბრებისას ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ის გაიზარდა 384000 ლარამდე, რაც მთლიანი ბიუჯეტის 7%-ია. უნივერსიტეტი მხარს უჭერდა შიდა სამეცნიერო პროექტებს, განსაკუთრებით სტუდენტების მონაწილეობით. შიდა გრანტზე გათვალისწინებული იყო მაქსიმუმ 3000 ლარი, რაც არ არის საკმარისი ეფექტური სამეცნიერო კვლევის ჩასატარებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე გაიცა რეკომენდაცია, რომ გადაიხედოს დაფინანსების ეს ნაწილი და შეძლებისდაგვარად გაიზარდოს ფინანსური რესურსები თითოეული პროექტის შესაბამისად. კვლევითი პოტენციალის გაზრდის კუთხით და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირებისათვის, მნიშვნელოვანია, გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის და მკვლევარების ინგლისური ენის კომპეტენცია, აღნიშნული საკითხი დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს და წარმოდგენილია როგორც გასაუმჯობესებელი მხარე.
ექსპერტმა, ინგა დიაკონიძემ აღნიშნა, რომ დამატებით კომენტარი არ აქვს.
ექსპერტმა, ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება მატერიალური რესურსის კუთხით საკმაოდ ძლიერი იყო და სრულიად მზად სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისთვის და აწარმოოს კვლევები. თუმცა მნიშვნელოვანია ასევე გაუმჯობესება საინფორმაციო ტექნოლოგიებთან მიმართებაში, რაზეც თავად უნივერსიტეტიც აცხადებდა თანხმობას. ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ დაწესებულება ერთი თვის ვადაში გეგმავდა ბიბლიოთეკის მშენებლობას.
ექსპერტმა, დავით კაკიაშვილმა აღნიშნა, რომ სტუდენტთა გადმოსახედიდან დაწესებულება სრულად ხელს უწყობდა სტუდენტების კარიერულ განვითარებასა და დასაქმებას. ასევე, დაწესებულება მხარს უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს, როგორც კვლევით მიმართულებით, ასევე სპორტული და კულტურული მიმართულებების.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

უნივერსიტეტის რექტორმა, გიორგი სოსიაშვილმა, მადლობა გადაუხადა საბჭოსა და ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის და სასარგებლო რჩევებისთვის, რომელიც გაამლიერებს ინსტიტუციას და ხელს შეუწყობს მის განვითარებას.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ლევან მიდოდაშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და რეკომენდაციებისთვის, რადგან აღნიშნული ნამდვილად ორიენტირებული იყო ინსტიტუციის განვითარებაზე. რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ კარგი იქნებოდა, თუ ექსპერტები უფრო კონკრეტულად აღნიშნავდნენ დაწესებულების მისიაში რა ტიპის ცვლილებებია საჭირო დაწესებულების განმასხვავებელი ნიშნის გამოკვეთისათვის. რაც შეეხება დაინტერესებული პირების პროგრამის განვითარებაში ჩართულობის საკითხს, დაწესებულებაში 28 პროგრამიდან აკრედიტებული იყო 26, მნიშნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ აკრედიტაციის მიღება პრაქტიკულად შეუძლებელია თუ მოცემული საკითხი არ არის გათალისწინებული. შესაბამისად, უმჯობესი იქნებოდა მოცემული საკითხი განსაზღვრული ყოფილიყო რჩევის სახით.
რაც შეეხება ინგლისური ენის კომპეტენციების განვითარებას აკადემიური პერსონალში, დაწესებულებას მოცემული საკითხი ისედაც განსაზღვრული ჰქონდა განსავითარებელ გეგმაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა დასკვნაში არსებული რჩევა რომელიც გულისხმობდა საკვლევი სფეროს გაფართოებასა და დივერსიფიცირებას და აღნიშნა, რომ რადგან ინსტიტუცია აცხადებს მზაობას ისტორიის მიმართულებით განახორციელოს კვლევები და ამბობს რომ მას აქვს რესურსი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს თხოვა დაეზუსტებინა თუ რამ განაპირობა აღნიშნული რჩევა. დამატებით, დაზუსტებისთვის, განემარტათ კვლევის თითოეულ პროექტზე გამოყოფილი 3000 ლარი განკუთვნილია მხოლოდ სტუდენტებისთვის, თუ აკადემიური პერსონალისთვის. ამასთან ერთი მხრივ დასკვნაში ეწერა, რომ კვლევა ფინანსდება საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურებით, თუმცა მეორეს მხრივ ეწერა, რომ არ იყო მთლად გარკეული ადმინისტრაციული ნაწილი და ის თუ ვინ იყო კომისიაში ჩართულები. ასევე, კითხვით მიმართა, თუ პერსონალი არ არის აფილირებული, როგორ ავალდებულებს მათ ჩაერთონ კვლევით აქტივობაში.

14:34 საათზე საბჭოს შემოუერთდა ლელა სალაყაია.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა დააზუსტა თუ რამდენად მაღალი იყო სტუდენტთა წარმომადგენლობა საფაკულტეტო საბჭოებში, ასევე რა სახის პროექტები ხორციელდება უნივერსიტეტის მესამე მისიის წარმატებით შესრულებისათვის. შემდეგი კითხვა ეხება დაწესებულებას, რომ განემარტათ რა ეტაპზეა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებების კვლევაში ასახული რეკომენდაციებისა და რჩევების შესრულება.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა ლევან მიდოდაშვილმა განმარტა, რომ შიდა პროექტების დაფინანსება ხდება ორი წესით. კერძოს შესაბამისი კონკურსი გამოცხადებითა და მკვლევართა ჯგუფის მიმართვის საფუძველზე, რომლებსაც შეეძლოთ გაცილებით მაღალი დაფინანსების მოთხოვნა ვიდრე 3000 ლარია. აღნიშნული თანხა გათვალისწინებული იყო მხოლოდ ერთი კონკრეტული კონკურსისათვის, ხოლო დაწესებულებას დაუფინანსებია 8000 ლარიანი და 10000 ლარიანი პროექტებიც, მაგალითად გორის სასწავლო უნივერსიტეტისა და ვარშავის ერთობლივი კვლევა. შემდგომი საკითხი ეხება, მოწვეული პერსონალის კვლევების ვალდებულებას, რასთან დაკავშირებითაც განმარტა, რომ მათ ეს ვალდებულება არ გააჩნიათ.

ექსპერტმა, დიანა მჭედლიშვილმა განმარტა, რომ კვლევის მიმართულება იყო საკამოდ ვიწრო, თუმცა რეალურად დაწესებულებას ჰქონდა მეტი პოტენციალი, თუნდაც ისტორიის ნაწილის კუთხით. სწორედ ამიტომ საკითხი განსაზღვრული იყო რჩევის სახით. რაც შეეხება კომისიის წევრთა შემადგენლობას, აღნიშნული რეგულირდებოდა ცალკე ბრძანებით, თუმცა აღნიშნული არ იყო გაწერილი მარეგულირებელ დოკუმენტში და სწორედ ამიტომ განისაზღვრა რჩევის სახით, რომ უფრო მეტად გამჭვირვალე გახდეს, გარდა ამისა, არა მარტო შიდა ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი ჩართული იყოს კომისიაში, არამედ შეძლებისდაგვარად ჩაერთოს გარე ექსპერტიც.
ექსპერტმა, დავით კაკიაშვილმა, ისაუბრა სტუდენტთა ჩართულობაზე და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი ესაუბრა სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფს, რომელიც ორგანიზებას უწევს დროებით დამოუკიდებელ თვითმართველი ორგანოს არჩევნებს. ვიზიტის დროს თვითმართველობას არ ჰყავდა არჩეული პრეზიდენტი, რის მიზეადაც დასახელდა პანდემიური პროცესები, თუმცა უკვე დანიშნული იყო არჩევნების თარიღი. ამასთან აღსანიშნავია, რომ საინიციატოვი ჯგუფისთვის გამოყოფილი იყო ბიუჯეტი სტუდენტთა ინიციატივების დასაფინანსებლად. ამასთან უნივერსიტეტის მხრიდან პრიორიტეტი ენიჭებოდა სტუდენთა კვლევით პროექტებს, რაც აქტიურად იყო ათვისებული სტუდენტების მხრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 14:47 საათი
საბჭოს სხდომა განახლდა: 14:58 საათი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერისტეტის ავტორიზაციის საკითხი, 6 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიში წარდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე:11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 103-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 218076542) (სტატუსი - უნივერსიტეტი) მიენიჭა ავტორიზაცია 6 წლის ვადით, ერთი წელის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში გაფიქსირებული რეკომენფაციები და დააყენა შუამდგომლობა, რომ დაემატოს შემდეგი რეკომენდაცია:

- უნივერსიტეტმა შეიმუშავოს კვლევითი საგრანტო პროექტების გაცემის გამჭვირვალე და სამართლიანი ზოგადი წესი.

გადაწყვეტილება ძალაში შედის 2022 წლის პირველი სექტემბრიდან.

1. **სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველი სახელმწიფო უნივერსიტეტზე წარმოდგენილ განაცხადზე არაგეგმიური მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ;**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მოქალაქის განცხადებას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა სხდომას ესწრებოდა თუ არა განმცხადებელი.
სსიპ - განათლების ხარსიხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ განმცხადებელი და საგანმანათლებლო დაწესებულებაც ინფორმირებული იყო საბჭოს სხდომის შესახებ, თუმცა დასწრება არ დაუდასტურებიათ.
საბჭოს თვამჯდომარემ სთხოვა საბჭოს წევრებს, არსებობის შემთხვევაში წარმოაედინათ მათი პოზიცია. სახდომაზე დამსწრე წევრებმა განაცხადეს, რომ იცნობდნენ გაზიარებულ მასალას და დამატებითი კითხები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 15:00საათი
საბჭოს სხდომა განახლდა: 15:03 საათი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველი სახელმწიფო უნივერსიტეტზე წარმოდგენილ განაცხადზე არაგეგმიური მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე:12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველი სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

1. **სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტზე წარმოდგენილ განაცხადზე არაგეგმიური მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ;**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა - კონსტანტინე სირბილაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მოქალაქის განცხადებას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა სხდომას ესწრებოდა თუ არა განმცხადებელი.
სსიპ - განათლების ხარსიხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ განმცხადებელი და საგანმანათლებლო დაწესებულებაც ინფორმირებული იყო საბჭოს სხდომის შესახებ, თუმცა დასწრება არ დაუდასტურებიათ.
საბჭოს თვამჯდომარემ სთხოვა საბჭოს წევრებს, არსებობის შემთხვევაში წარმოაედინათ მათი პოზიცია. სახდომაზე დამსწრე წევრებმა განაცხადეს, რომ იცნობდნენ გაზიარებულ მასალას და დამატებითი კითხები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 15:03 საათი
საბჭოს სხდომა განახლდა: 15:05 საათი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტზე წარმოდგენილ განაცხადზე არაგეგმიური მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მ ო მ ხ რ ე : 1 1
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება 3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

1. **შპს ალტე უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

უნივერსიტეტის რექტორმა, რამაზ კუკულაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულიად იზიარებს ექსპერტთა დასკვნას. ამ ეტაპზე დაწესებულებას სტუდენტები არ ჰყავდა, თუმცა იმედოვნებდა ამ კუთხით განვითარებას.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა სწავლის მეთოდების გადახედვა, რამდგან ზოგიერთი მათგანი შესაძლოა ერთმანეთს ფარავდეს და ტერმინები მოძველებულია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ელი გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა შპს ალტე უნივერსიტეტის მიერ სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შეფასება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა მე-3, მე-4 და მე-7 სტანდარტები. საბოლოოდ შეფასების ფორმირება განხორციელდა შემდეგნაირად, მე-3 სდანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მე-4 სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მე-7 სტანდარტი ასევე მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
ექსპერტმა ასევე განიხილა დასკვნაში არსებული რეკომენდაციები, კერძოდ:

1. დარგობრივ სილაბუსებში, განსაკუთრებით სწავლების მეცხრე და მეათე სემესტრებში დეტალურად გაიწეროს კურსის ფარგლებში სტუდენტის მიერ სავალდებულო შესასრულებელი პრაქტიკული მანიპულაციები პაციენტებზე ექიმი სტომატოლოგების ზედამხედველობის ქვეშ.
2. სილაბუსებში განახლდეს სასწავლო ძირითადი ლიტერატურა.
3. განახლდეს პერსონალის პირადი საქმეები, შესაბამისი განხორციელებული სამეცნიერო აქტივობებისა და პროფესიული გამოცდილების მითითებით.
4. სასურველია შპს ალტე უნივერიტეტის მედიცინის სკოლის მიერ სტომატოლოგიის პროგრამაში ჩართული პერსონალისთვის დაიგეგმოს მეტი სამეცნიერო აქტივობები სტუდენტთა ჩართულობით, კონკრეტული ფინანსური გეგმის მიხედვით.
5. ვებ გვერდზე განახლდეს ინფორმაცია სტუდენტთათვის სტომატოლოგიის პროგრამის შესახებ.
6. პრეკლინიკური სიმულაციური სწავლებისათვის განახლდეს სტომატოლოგიური ფანტომები და მულაჟები;

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 15:12 საათი
საბჭოს სხდომა განახლდა: 15:14 საათი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ალტე უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მ ო მ ხ რ ე : 1 2
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ალტე უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 27 ივლის, 15:15 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გვენეტაძე გაგა